ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1721076

ნომერი: AR1282939

თარიღი : 01.02.2015

გაცემის თარიღი : 09.02.2015

გაცნობის თარიღი : 10.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიშა ფუტკარაძე პ/ნ 17001002452
- ვანი ს. სალხინო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა #15, , შ.პ.ს. "ზარაფხანა დეველოპმენტი"–ს (მოიჯარე – მოქ. მიშა ფუტკარაძე) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.005.009), სამსახურის მიერ 05/12/2014წ. AR1270915 განცხადებაზე №1655652 გადაწყვეტილებით გაცემულ დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014050488 03/02/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.13.02.005.009, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა #15, , შ.პ.ს. "ზარაფხანა დეველოპმენტი"–ს (მოიჯარე – მოქ. მიშა ფუტკარაძე) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.13.02.005.009), სამსახურის მიერ 05/12/2014წ. AR1270915 განცხადებაზე №1655652 გადაწყვეტილებით გაცემულ დროებითი სტატუსის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობის (სამრეცხაოს) მშენებლობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეთანხმების შედეგად ხელი არ უნდა შეეშალოს განაშენიანების რეგულირების პროექტის დამუშავებას და პირველივე მოთხოვნისთანავე შენობა–ნაგებობა თქვენივე ხარჯებით უნდა დაექვემდებაროს დემონტაჟს.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.